ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

ბრძანება:**ბ49.49211761**
თარიღი:**25/06/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2021 წლის

III კვარტლის სამუშაო გეგმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 25-ე მუხლის მესამე პუნქტისა და 50–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2021 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმები № 1, № 2, № 3, № 4 და № 5 დანართების შესაბამისად (თან ერთვის).

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა მოამზადოს განკარგულების პროექტი - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს პაატა ახალაძეს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი